



# ISFED

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საერთაშორისო  
სახმარებლო

## 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი ანგარიში

1 ივლისი - 19 ივლისი, 2013

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



## I. სადამკვირვებლო მისიის შესახებ

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრაცია გაიარა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი ორგანიზაციამ 2013 წლის 1 ივლისს დაიწყო. „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვებას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს, რომლებმაც სათანადო მომზადება და ტრენინგი მონიტორინგის დაწყებამდე გაიარეს. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით<sup>1</sup>, რაც პირველ რიგში პროცესის სრულყოფილად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად დაკვირვებას გულისხმობს. ორგანიზაციის დაკვირვება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი, რაც ძირითადად გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესისა და საქმიანობაზე დაკვირვებას;
- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართული საჯარო შეხვედრებისა და სხვა პოლიტიკური საქმიანობის დაკვირვება, აგრეთვე მათ მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირებების მონიტორინგი;
- ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და შესწავლა;
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარის, პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების გამოვლენა და სათანადო რეაგირება.

## II. არჩევნების დღის გამოცხადება

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები 2013 წლის 27 ოქტომბერს გაიმართება. 2013 წლის 1 ივლისს ცნობილი გახდა პრეზიდენტის გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გამოცხადების შესახებ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის თარიღად ჯერ 27 ოქტომბერი გამოაცხადა, თუმცა, იმავე დღეს, რამდენიმე საათის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად პრეზიდენტის განკარგულებით 31 ოქტომბერი გამოცხადდა.

საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის შეცვლამ საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან 2013 წლის 31 ოქტომბერი, ხუთშაბათი, მართალია საქართველოში უქმე დღედ გამოცხადდებოდა, თუმცა, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთათვის ხუთშაბათი რიგითი სამუშაო დღეა, რაც მათი საარჩევნო უფლების შეზღუდვად იქნა აღქმული.

---

<sup>1</sup> „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვების პროცესში ხელმძღვანელობს საერთაშორისო დეკლარაციით „არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ“, დეკლარაცია იხილეთ შემდეგ ბმელზე: <http://www.gndem.org/declaration-of-global-principles>; ხოლო შეფასებების დროს ეყრდნობა და იზიარებს ეუთოს კოფენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებსა და სულისკვეთებას.

3 ივლისს „სამართლიანმა არჩევნებმა“ თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად პრეზიდენტს მოუწოდა არჩევნების თარიღად ოქტომბრის თვის ერთ-ერთი კვირა დღე გამოეცხადებინა <sup>2</sup>. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვის საფუძველზე პრეზიდენტმა არჩევნების თარიღად საბოლოოდ 2013 წლის 27 ოქტომბერი, კვირა დღე გამოაცხადა.

### III. წინასაარჩევნო გარემო

2013 წლის 1 ივლისს საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის თარიღის გამოცხადებასთან ერთად წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. ჯერჯერობით პოლიტიკური პარტიები და საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო ხასიათის აქტიურობა არ არის მაღალი. ამომრჩევლებთან გამართული საჯარო შეხვედრების რაოდენობა დაბალია და ძირითადად პოლიტიკური პროცესები ცენტრალურ დონეზე საპარლამენტო განხილვებითა და სატელევიზიო დებატებით შემოიფარგლება. თანაბარი საარჩევნო გარემოს მნიშვნელობასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის 10 ივლისს გაავრცელა მიმართვა, რომელშიც გამოთქვა მისი და მისი გუნდის მზადყოფნა „საქართველოში ჩატარდეს სამაგალითოდ სუფთა, თავისუფალი, სამართლიანი და ევროპისკენ მიმავალი ქვეყნისთვის საკადრისი არჩევნები“<sup>3</sup>

#### 3.1 პრეზიდენტობის კანდიდატები

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობას რაიმე თანამდებობრივ მდგომარეობასთან.

საჯაროდ ცნობილია, რომ მომავალ არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი, **გიორგი მარგველაშვილი** იქნება, მისი მინისტრის თანამდებობაზე ყოფნა კი ჩვენი აზრით, პრობლემას წარმოადგენდა თანასწორი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს არსებობის თვალსაზრისით.

საქართველოში მაღალი პოლიტიკურ-სამართლებრივ კულტურის დამკვიდრების თვალსაზრისით და თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნისათვის ორგანიზაცია დადებითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მიერ კამპანიაში მონაწილეობის მოტივით მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის ფაქტს<sup>4</sup>.

დღეისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადებით წარდგენილი კანდიდატები არიან:

1. მიხეილ საულაშვილი 2. ნესტან კირთაძე 3. შალვა ნათელაშვილი 4. მამუკა ჭოხონელიძე 5. ნიკოლოზ გორგიჯანიძე 6. გიორგი თარგამაძე 7. სერგო ჯავახიძე 8. გიორგი ჩიხლაძე 9. სერგო ჯავახიძე 10.

<sup>2</sup> იხილეთ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება შემდეგ ბმულზე: <http://on.fb.me/12R7tiK>

<sup>3</sup> იხილეთ პრემიერ მინისტრის მიმართვა შემდეგ ბმულზე: [http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=269&info\\_id=37575](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=269&info_id=37575)

<sup>4</sup> გიორგი მარგველაშვილი თანამდებობიდან 2013 წლის 16 ივლისს გადადგა.

გიორგი ჩიხლაძე 11. მერაბ გორგაძე 12. გიორგი ლილუაშვილი 13. გია ჩხიკვაძე 14. ლევან ჩაჩუა 15. მერაბ სულიაშვილი 16. ბესიკ ადამია 17. ავთანდილ მარგიანი 18. ავთანდილ ფილაური

### 3.2 სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით განხორციელებული ზეწოლა/მუქარა

საანგარიშო პერიოდში „სამართლიანმა არჩევნებმა“ სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივით ზეწოლის 2 ფაქტი დააფიქსირა. ორივე მათგანი შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ, გორსა და კასპში მოხდა. ერთ შემთხვევაში ზეწოლა გამოიხატა პოლიტიკური აქტივისტის მიმართ ფიზიკური ძალადობის ფორმაში, ხოლო მეორე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საკრებულოს დეპუტატის მიმართ პოლიტიკური ნიშნით განხორციელებულ მუქარას.

#### კასპი

კასპის გამგებელმა, ოლეგ იაძემ, „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს საკრებულოს დეპუტატ დიმა იორდანაშვილის მიმართ განხორციელებულ მუქარის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

მისი განცხადებით, 2013 წლის 9 ივლისს სადამოს საათებში კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატთან დიმა იორდანაშვილთან კოალიცია „ქართული ოცნების“ სამი წარმომადგენელი - გიორგი ბესტავაშვილი, გია წიკლაური და დავით ალექსიძე მივიდნენ, რომლებიც სიტყვიერად ემუქრებოდნენ და აძალებდნენ, რომ 11 ივლისის საკრებულოს სხდომაზე, სადაც საკრებულოს თავმჯდომარე უნდა არჩეულიყო, საკრებულოს თავჯდომარეობის კანდიდატ ხათუნა თათანაშვილისათვის დაეჭირა მხარი.

თავად იორდანაშვილი აღნიშნულ ფაქტზე საუბრისგან თავს იკავებს, ხოლო გიორგი ბესტავაშვილი, გია წიკლაური და დავით ალექსიძე იაძის ნათქვამს „ბოდვას,, უწოდებენ და ფაქტს უარყოფენ.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელზეც საკრებულოს თავმჯდომარე უნდა აირჩიონ, სამჯერ კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა.

#### გორი

2013 წლის 2 ივლისს საინფორმაციო საშუალებების მიერ<sup>5</sup> მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, 20 წლის სტუდენტი, „რესპუბლიკური პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი, გიორგი პაპიაშვილი 23 ივნისის სადამოს სასტიკად სცემეს. პაპიაშვილი და მისი ადვოკატი თამარ თედლიაშვილი აღნიშნული შემთხვევის შესახებ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს ესაუბრნენ.

როგორც პაპიაშვილის საუბრიდან ირკვევა, 2012 წლის ზაფხულიდან მოყოლებული პოლიციის თანამშრომლები - გიორგი თაბუაშვილი, მოციქულაშვილი და სხვები მას სხვადასხვა დანაშაულის პროვოცირებას ავალბდნენ, რომლის მიზანი კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბის

<sup>5</sup> იხ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული მასალა <http://qartli.ge/web/13066>

წევრების დანაშაულში მხილება იყო, ხოლო მან კრიმინალური პოლიციელებთან ამგვარ „თანამშრომლობაზე“ უარი თქვა და მასზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტი გაასაჯაროვა. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მასზე განხორციელებულ სისტემატურ ძალადობას აღნიშნულ ფაქტს უკავშირებს. პაპიაშვილი აცხადებს, რომ პოლიციელებთან ერთად მასზე გაკეულ ფსიქოლოგიურ ძალადობას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენელი გიორგი საურიც<sup>6</sup> ახორციელებდა.

ძალადობის უახლესი ფაქტი 2013 წლის 23 ივნისს დაფიქსირდა, როდესაც იგი პოლიციელებმა - თაბუაშვილმა, მოციქულაშვილმა და სხიაშვილმა სასტიკად სცემეს. აღნიშნულს ადასტურებს გიორგი პაპიაშვილის მეგობრის დედა, ანა მაზანაშვილი, რომელიც შემთხვევის თვითმხილველი გახდა.

ფაქტთან დაკავშირებით, 2013 წლის 1 ივლისს პრესკონფერენცია გამართა რესპუბლიკური პარტიის გორის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ლექსო ვალიაურმა, სადაც განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო პოლიციის მიერ გიორგი პაპიაშვილის დევნის შესახებ და ამ ფაქტის დეტალურად გამოძიება მოითხოვა. ვალიაურის თქმით, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიცია მისი დაპატიმრების იარაღად გიორგი პაპიაშვილის გამოყენებას აპირებდა, მან პაპიაშვილი და მისი მეგობრები პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციიდან გაუშვა იმ იმედით, რომ პოლიცია მათ დევნას შეწყვეტდა - თუმცა უშედეგოდ.

როგორც პაპიაშვილის ადვოკატმა „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს განუცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. რაც შეეხება გიორგი პაპიაშვილს, იგი სახლიდან გამოსვლას თავს არიდებს. რაც შეეხება ჯანმრთელობის მდგომარეობას, სილურჯეები კვლავაც აღნიშნება, თუმცა შედარებით უკეთ გრძნობს თავს.

### 3.3 ადმინისტრაციული რესურსები

“საქართველოს საარჩევნო კოდექსით” დადგენილი წესის თანახმად, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე, იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის მიერ არ დაფიქსირებულა ხელისუფლების მიერ ახალი სოციალური პროექტების ინიცირება, შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის 49 (3) -ე მუხლის მოთხოვნა არ დარღვეულა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს რომ კამპანიის დაწყებამდე უკვე დაანონსებული

---

<sup>6</sup> პაპიაშვილის ინფორმაციით, 2012 წლის დეკემბერში მას სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსი გიორგი საური დაუკავშირდა, რომელიც მას პოლიციელებისაგან დაცვას შეპირდა, თუმცა, მოგვიანებით თავად დავით საურმა გიორგი პაპიაშვილს იმ ინფორმაციის მიწოდება დაავალა, აპირებდა თუ არა ვინმე უნივერსიტეტიდან 19 აპრილის აქციაზე წასვლას, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ იყო ორგანიზებული

იყო სახელმწიფო პენსიებისა და სოციალური დახმარებების ზრდის თაობაზე<sup>7</sup>, რომელსაც 2013 წლის 1 ივლისიდან და 1 სექტემბრიდან უნდა ჰქონდეს ადგილი. წარსულში არჩევნებზე ხშირად ქონდა ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც სოციალური პროექტების დიდი ნაწილის დაწყება წინასაარჩევნო კამპანიას ემთხვეოდა და წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აღიქმებოდა. შესაბამისად, აღნიშნული შესაძლოა შეიცავდეს სახელმწიფო ბუჯეტის პოლიტიკური მიზნით გამოყენების საფრთხეს.

იმისათვის, რომ სახელმწიფო სოციალური პროექტები წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად არ იქნეს აღქმული, საჭიროა ხელისუფლებამ უზრუნველყოს მკაფიო გამიჯვნა სახელმწიფო ამოცანებსა და პარტიულ ინტერესებს შორის. ამისათვის, სახელმწიფო სოციალური პროექტების რეკლამირებისა და განხორციელების პროცესში სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობების პირების აქტიურობა წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს.

### 3.4 ამომრჩევლის მოსყიდვა

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციას ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევები არ დაუფიქსირებია. მიუხედავად აღნიშნულისა, გვსურს ყურადღება გავამახვიოთ ერთ-ერთ საკითხზე, რაც შესაძლებელია შეიცავდეს ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს, ან მომავალში შესაძლოა ამ მხრივ პრობლემატური გახდეს. საქმე ეხება გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირთან, ბიძინა ივანიშვილთან ასოცირებული ფონდი „ქართუს“ მიერ ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ფინანსურ მხარდაჭერას. აღნიშნულთან დაკავშირებით „სამართლიანმა არჩევნებმა“ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად განცხადება 2013 წლის 14 მაისს გააკეთა.<sup>8</sup>

#### ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი

2013 წლის 22 იანვარს დაარსდა „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“. ფონდის მთავარი მიზანს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის 19 აპრილის წერილის თანახმად, ფონდის მიერ ამ დროისთვის ხორციელდებოდა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, რომლის ფარგლებშიც სასოფლო სამეურნეო მიწის მფლობელმა მოსახლეობამ მიმდინარე წელს სხვადასხვა ღირებულების ვაუჩერი მიიღო და „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავს დაბალპროცენტიანი აგროკრედიტების გაცემას. აღნიშნულ პროექტებს ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქართუ“ და ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი“ აფინანსებს.

ამ ეტაპზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი - ბიძინა ივანიშვილი არც ერთი კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტში არ ფიგურირებს, თუმცა საზოგადოებისთვის ეს ორგანიზაცია სწორედ პრემიერ-

<sup>7</sup>იხ. ანონსი <http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/29257-pirveli-aprilidan-pensia-izrdeba.html>

<sup>8</sup> განცხადება იხილეთ: <http://on.fb.me/11wkgf6>



მინისტრთან ასოცირდება. აღნიშნულ დამოკიდებულებას ამყარებს ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 2010 წლის 18 მარტის მდგომარეობით, „ფონდი ქართუს“ სარეგისტრაციო დოკუმენტებში პრემიერ მინისტრი - ბიძინა ივანიშვილი და შსს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფონდის ხელმძღვანელი თანამებობის პირებად ფიგურირებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მართებულად ხდება და იგი არა კერძო ქველმოქმედებად, არამედ სახელმწიფო პროგრამად წარმოჩინდება, რაც თავისთავად მისასაღმებელია. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მხრიდან საარჩევნო მიზნების მქონე პირთან ასოცირებული იურიდიული პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია ამომრჩევლის მატერიალური კეთილდღეობის შექმნისაკენ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიერ დადგენილი შეზღუდვებს და მიზნებს ეწინააღმდეგება. კერძოდ, კანონის თანახმად „პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა . . . ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით საქონლის ან მომსახურების მიყიდვა ან მიწოდება. . .“. კანონის თანახმად, „აღნიშნული შეზღუდვები ვრცელდება ასევე, პირზე, რომელსაც აქვს განცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს“.

მაშასადამე, კანონის მიზანია პარტიისა და განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის პოლიტიკურ და საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირება და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელია, გავმიჯნოთ განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის მიერ საარჩევნო მიზნით გაწეული ხარჯი და საქველმოქმედო ამოცანებით გაწეული კონტრიბუცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის პრინციპების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა წინასაარჩევნო პერიოდში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ შეაჩეროს ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფორნდში“ ფინანსური და სხვა მატერიალური/არამატერიალური კონტრიბუციის განხორციელება და ამ კონტრიბუციის საფუძველზე მოქალაქეთათვის სხვადასხვაგვარი მატერიალური დახმარების გაწევა, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ამომრჩევლის მოსყიდვა.

### 3.5 პოლიტიკური პარტიების/კანდიდატების წინასაარჩევნო საქმიანობა

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2013 წლის პირველი ილისიდან 14 ივლისის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის მიერ 24 საჯარო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების ძირითად მიზანს ადგილობრივი ოფისების დაარსება, საუბნო კომისიის წევრების შესარჩევი პროცესის დაწყება და ადგილობრივი აქტივისტების მობილიზება წარმოადგენდა.

<sup>3</sup>საქართველოს ორგანული კანონი “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” მუხლი 26<sup>1</sup> (1)

თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდს შევადარებთ, დავინახავთ, რომ პარტიები შარშან გაცილებით აქტიურები იყვნენ, ვიდრე წელს. 2012 წელს ივლისის თვეში ორგანიზაციის დაკვირვებით სხვადასხვა რეგიონში პარტიებმა 174 შეხვედრა გამართა, რაც საკმაოდ აღემატება 2013 წლის ივლისის თვეში გამართული საჯარო შეხვედრების რაოდენობას.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული შეხვედრების სტატისტიკა შემდეგია:

კოალიცია „**ქართულმა ოცნებამ**“ 15 საჯარო შეხვედრა გამართა. შეხვედრებს სხვადასხვა ოლქში კოალიციაში შემავალი პარტიები ახორციელებენ. პარტიების შეხვედრის მთავარ მიზანს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატების შერჩევა და ადგილობრივი ორგანიზაციების დაკომპლექტება წარმოადგენდა. ამ მიზნით შეხვედრები გაიმართა თბილისში, საგარეჯოში, სიღნაღში, ლაგოდეხში, რუსთავში, გარდაბანში, ხაშურში, ხარაგაულში, ახალქალაქსა და ჩოხატაურში.

„**ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ**“ 4 შეხვედრა გამართა, მათ შორის 3 პრაიმერი გორში, ქუთაისსა და თელავში. „ნაციონალური მოძრაობა“ პრაიმერი საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად ჩაატარა. პარტიის მიერ ჩატარებულ ყველა პრაიმერში გამარჯვება მოიპოვა დავით ბაქრაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსათვის“ პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატმა **ნინო ზურჯანაძემ** ფოთში გამართა შეხვედრა, რომლის ძირითადი მიზანი საარჩევნო შტაბის გახსნა, საარჩევნო კამპანიის დაწყება და ადგილობრივი ამომრჩევლისათვის სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია იყო.

ორგანიზაციის დაკვირვებით, პრეზიდენტობის კანდიდატმა **ნესტან კირთაძემ** 4 შეხვედრა კასპში გამართა. მან საზღვრის პირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობ მოინახულა და მათ პრობლემებს ადგილზე გაეცნო.

## IV. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება

2013 წლის 9 ივლისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებში არჩეული დროებითი წევრების შესახებ<sup>10</sup>. ამასთან, შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ<sup>11</sup> საარჩევნო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიაში თავიანთი წევრები წარადგინეს. აღნიშნულ პროცესში საგულისხმო ხარვეზი გამოიკვეთა, რაც გარკვეულ ოლქებში საჯარო მოსამსახურეების საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად დანიშვნაში გამოიხატა.

<sup>10</sup> იხ. ინფორმაცია საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრების შესახებ <http://bit.ly/13VGdHt>

<sup>11</sup> პარტიები, რომლებსაც აქვთ უფლება დანიშნონ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრები არიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „კონსერვატიული პარტია“, პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, პ/გ „ეროვნული ფორუმი“, „რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“



კერძოდ, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, შემთხვევები, როდესაც როგორც ცესკოს, ასევე პარტიების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული დროებითი წევრების ნაწილი იმავდროულად დასაქმებულია სხვა საჯარო სამსახურში. ანუ უკვე არიან საჯარო მოსამსახურეები, ხოლო, მათი ერთდროულად პირვანდელ საჯარო სამსახურსა და საოლქო საარჩევნო კომისიაში საქმიანობა ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნას სამსახურებრივი შეუთავსებლობის შესახებ.<sup>12</sup> საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული დროებითი წევრები, რომლებიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეები არიან დაფიქსირდა 9 შემთხვევაში შემდეგ საარჩევნო ოლქებში: #15 ლაგოდეხის, #20 რუსთავის, #22 მარნეულის, # 46 ლენტეხის, #59 ქუთაისის, #60 ოზურგეთის, #62 ჩოხატაურის, #61 ლანჩხუთის. პარტიების მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნული წევრები, რომლებიც იმავდროულად საჯარო მოსამსახურეები არიან დაფიქსირდა 17 შემთხვევაში: #44 ამბროლაურის, #45 ცაგერის, #46 ლენტეხის, #57 ტყიბულის, #64 სენაკის, #79 ბათუმის, #82 შუახევის, #53 ვანის, #55 ხონის, #60 ოზურგეთის, #61 ლანჩხუთის და #62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქებში.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩეული ან პარტიების მიერ დაინშნული წევრი საჯარო მოხელედ არ ითვლება, თუმცა სხვა სამსახურში უკვე დასაქმებულ სახელმწიფო მოსამსახურეებს სხვა ანაზღაურებადი სამსახურის შესვლა ეკრძალებათ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, იმ საჯარო მოსამსახურეებმა, რომელთა წინაშეც აღნიშნული შეუთავსებლობის საკითხი დგას, გააკეთონ არჩევანი მათ მუდმივ სამსახურსა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრობას შორის.

## V. ამომრჩეველთა სია

2013 წლის 6 ივლისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამომრჩეველთა რაოდენობა გამოაქვეყნა. ცესკოს მონაცემებით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის 3,537,249 (სამი მილიონ, ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათას ორას ორმოცდაცხრა) შეადგენს.<sup>13</sup>

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველების პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. კერძოდ, საკანონმდებლო რეგულირების მიღმა დარჩენილი იმ ამომრჩევლების საკითხი, რომლებიც რეგისტრაციის ადგილიდან მოხსნილი არიან, თუმცა რეგისტრაცია არ გაუვლიათ ახალ მისამართზე. ცესკოს მონაცემების მიხედვით ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა 97 000 ამომრჩეველს აღწევს.

---

<sup>12</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირები სარგებლობენ შვებულებით, მათ შვებულების პერიოდში საჯარო მოსამსახურის სტატუსი აქვთ, შესაბამისად, მათზე ვრცელდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონით სამსახურებრივი შეუთავსებლობის პრინციპი.

<sup>13</sup> იხ. ამომრჩეველთა რაოდენობა: [http://cesko.ge/files/TEA/edited\\_raolenobebi\\_maisis\\_mdgomareobit.pdf](http://cesko.ge/files/TEA/edited_raolenobebi_maisis_mdgomareobit.pdf)

გასულ საპარლამენტო არჩევნებზე აღნიშნული საკითხი საარჩევნო კოდექსით დარეგულირდა და კანონის გარდამავლ დებულებებში აღინიშნა, რომ მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს ხმის მიცემა უკანასკნელი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით შეეძლოთ. აღნიშნული წესი აღარ მოქმედებს მომდევნო არჩევნებისთვის, რის გამოც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პრობლემის გადაწყვეტა დადგენილების მიღებით სცადა, თუმცა დადგენილებას მხარი ცესკოს წევრთა საჭირო რაოდენობამ არ დაუჭირა.<sup>14</sup>

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო კოდექსი იმპერატიულად ადგენს ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის უფლების განხორციელებას მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, შესაბამისად, აღნიშნული წესისაგან რაიმე გამონაკლისის დაშვება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტით წინააღმდეგობრივი იქნებოდა საქართველოს კანონმდებლობასთან. თუმცა, მეორეს მხრივ, საარჩევნო უფლება საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა და ყველა სახელმწიფო ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს მოქალაქეთათვის აღნიშნული უფლების რეალიზებას. „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების სია დაუყოვნებლივ საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. ამასთან დაიწყოს აქტიური საინფორმაციო კამპანია მოქალაქეების მიერ საკუთარი თავის აღნიშნულ სიაში გადაამოწმებისა და ხელახალი რეგისტრაციის გავლის მიზნით. ამისათვის სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და წახალისოს ამომრჩევლები. აღსანიშნავია, რომ რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების საკითხის განხილვა საქართველოს მიმდინარეობს პარლამენტში მიმდინარეობს. მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ ინიცირებული კანონპროექტი იზიარებს „სამართლიანი არჩევნების“ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ინიციატივის თანახმად, 2013 წლის 17 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნებათ რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებს. ამისათვის რეგისტრაციიდან მოხსნილმა ამომრჩეველმა 2013 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრაცია უნდა გაიაროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (სამოქალაქო რეესტრში). ასეთი ამომრჩეველი თავისუფლდება პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემისათვის დადგენილი მომსახურების საფასურისაგან.

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



<sup>14</sup> იხ. ცესკოს განცხადება: [http://cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=13&info\\_id=12347](http://cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=12347)